ბათუმის მკვიდრი მოსახლეობის დამოკიდებულება ქალაქში მცხოვრები და ბოლო პერიოდში მიგრირებული სხვა ეთნიკური ჯგუფებისადმი (სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით)

ნუგზარ ჩხაიძე

ფილოსოფიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

ელ- ფოსტა: nugzar.chkhaidze@bsu.edu.ge

ORCID: https://orcid.org/0009-0007-2795-791X

აბსტრაქტი: საკვლევი თემის აქტუალობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ბოლო პერიოდში, ქ. ბათუმში, შეიმჩნევა უცხოელების რაოდენობის მკვეთრი ზრდა. ასევე, ადგილი აქვს ადგილობრივი არაქართული წარმოშობის მოსახლეობის პოლიტიკურ გააქტიურებას. გამომდინარე აქედან, საკმაო ინტერესს წარმოადგენს ქ. ბათუმის ქართული მოსახლეობის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს, ქ. ბათუმის ქართველი ეროვნების წარმომადგენელთა სოციოლოგიური გამოკითხვის მეშვეობით იმ საკითხების გამოკვეთა, რომელიც უკავშირდება არაქართველების (მათ შორის, ძირითადად, უცხოელების) ქალაქში ცხოვრების ამა თუ იმ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპექტებს.

კვლევის სანდოობის ხარისხს მნიშვნელოვნად ზრდის ის ფაქტი, რომ ბათუმი გამოირჩევა მრავალეთნიკური შემადგენლობით. ამ გარემოებიდან გამომდინარე ცხადია, რომ ბათუმელი ქართველები, ამა თუ იმ სიხშირით, ყოველთვის კონტაქტობდნენ სხვა ერების წარმომადგენლებთან, რაც განაპირობებს მათი პასუხების სანდოობის მაღალ დონეს.

რაც შეეხება უშუალოდ სოციოლოგიური კვლევის თემატიკას, ის შემდეგნაირია: ქ. ბათუმში ცხოვრების ხანგრძლივობა; ქართველების ბათუმში მცხოვრებ არაქართველებისადმი დამოკიდებულება ზოგადად; არაქართული წარმოშობის ნათესავის ან მეგობრის ყოლა; რაიმე სახის ფაქტის არსებობა იმის თაობაზე, რომ ადგილი აქვს არაქართველების რაიმე მხრივ შევიწროებას სახელმწიფოს, ადამიანთა გარკვეული ჯგუფების ან ცალკეული პიროვნებების მხრიდან; დამოკიდებულება ქ. ბათუმში არსებული უცხოური ბიზნესისადმი; უცხოური ბიზნესის როლი ქ. ბათუმის მკვიდრი მოსახლეობის დასაქმების საქმეში; დამოკიდებულება ქ. ბათუმში სამუშაოდ ჩამოსული უცხოელებისადმი; თვალსაზრისი ბათუმში დამკვიდრებულ უცხოელების და ადგილობრივი არაქართველების საქართველოში შემდგომი ცხოვრების პერსპექტივებზე; არალეგალური მიგრაციის პრობლემები; უცხოელებისთვის საქართველოს მოქალაქეობის და ბინადრობის უფლების მიცემის საკითხი; უცხოეთიდან ქვეყანაში ქართული ეროვნების პირთათვის საქართველოს მოქალაქეობის მიცემის სიძნელეები; არაბული კომპანიის („იგლ ჰილსი“) შემოსვლის მიზანშეწონილობა.

ზოგადად კი, შეიძლება ითქვას, რომ საკვლევი თემის ძირითადი მიზანია, სოციოლოგიური კვლევის მეშვეობით იმ ძირითადი პრობლემების გამოკვეთა, რომლებიც არსებობენ ბათუმში მცხოვრებ უცხოელებთან მიმართებაში. თემის აქტუალობა კი გაპირობებულია ბოლო პერიოდში ქალაქში უცხოელების გაზრდილი ნაკადის მოზღვავებით და ბათუმის ქართული მოსახლეობის დამოკიდებულებით ამ მწვავე პრობლემისადმი.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიცია, უცხოელი, ეთნოსი, მიგრაცია, დასაქმება.

* * *

შესავალი: ტერმინი „ეთნოსი“ ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და რამდენადმე შეესატყვისება ქართულ „ერს“ ან ნაციას. "ბერძნული *ethnos*-იდან: ხალხი ნაცია, კლასი, კასტა, ტომი; – ერთად ცხოვრებას შეჩვეული ხალხის რაოდენობა; სოციალური მეცნიერებების თანამედროვე შემადგენელი” (Harper, n.d.).

ეთნოსის ძირითად მდგენელებად შეიძლება მოაზრებული იქნას საერთო ისტორიული წარსული და კულტურა. ეთნოსი შეიძლება განვიხილოთ, ასევე, ისეთ მძლავრ ფაქტორად, რომელიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის თვითმყოფადობას (იდენტობას). მკვიდრ ჯგუფებს შორის დამოკიდებულება არის მრავალი მეცნიერების ყურადღების ობიექტი (ეთნოლოგია, ისტორია, ფსიქოლოგია, პოლიტოლოგია და ა.შ.). ეთნოსებს სწავლობს, ასევე, სოციოლოგიაც (არის სპეციალური საგანი ეთნოსოციოლოგია) (ეთნოსები საქართველოში, 2008).

სოციოლოგიის მიერ ეთნოსების შესწავლის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ მისი შინაარსი განსაზღვრულია ამა თუ იმ ერის წარმომადგენლებთან უშუალო კონტაქტით, რაც ხორციელდება რესპოდენტების სოციოლოგიური გამოკითხვის მეშვეობით. ასეთი გზით მოპოვებული ინფორმაცია მეტად დამაჯერებელია, რაც ეთნოსების კვლევის საქმეში სოციოლოგიის განსაკუთრებულ როლზე მიანიშნებს. ჩვენი კვლევაც მიმართულია იქეთკენ, რომ ქ. ბათუმის ქართული მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვით, რომლის მთავარი ამოცანაა ქ. ბათუმის ავტოქთონი მოსახლეობის ქალაქში მცხოვრებ არაქართველებისადმი დამოკიდებულების სოციოლოგიური შესწავლით, გარკვეული წვლილი შევიტანოთ ამ, საკმაოდ რთულ, საკითხში გასარკვევად.

რესპოდენტთა პასუხების საფუძველზე ჩვენ ვიგებთ, თუ რა განწყობები დომინირებს ქ. ბათუმის ქართულ მოსახლეობაში არაქართველებთან მიმართებაში. სოციოლოგიური კვლევით, ასევე, გამოიკვეთა ის მოთხოვნები, რომელთა შესრულებასაც ითხოვენ ქართველი რესპოდენტები ხელისუფლებისგან. სხვა ეთნოსებთან დამოკიდებულების საკითხში, მათ, ძირითადად, უნდათ, რომ სახელმწიფომ უფრო მკაცრი პოლიტიკა გაატაროს ქვეყნიდან არალეგალური მიგრანტების (ძირითადად აზიის და აფრიკის ქვეყნებიდან) გაძევების საქმეში.

ჩვენი აზრით, ამ კუთხით სახელმწიფოს მხრიდან მეტი ქმედითი ნაბიჯია გადასადგმელი. მაგ., რესპოდენტთა ნაწილი მიუთითებს იმ საშიშროებაზე, რაც შეიძლება მოყვეს განვითარებადი ქვეყნებიდან ადამიანთა უკონტროლო მიგრაციას და მიუთითებენ ევროპაში იმ მრავალრიცხოვან ტერორისტულ აქტებზე, რომლებსაც, ძირითადად, ახორციელებენ მიგრანტები აზიის და აფრიკის ქვეყნებიდან. ნაშრომთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას ერთ საინტერესო გარემოებასაც – სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა ქ. ბათუმში, რომელიც გამოირჩევა მოსახლეობის შემადგენლობის პოლიეთნიკურობით. გამომდინარე აქედან, ბათუმელები უფრო კარგად ერკვევიან ერთაშორის ურთიერთობებში, ვიდრე ისინი, ვინც მონოეთნიკურ გარემოში ცხოვრობენ. ეს ფაქტორი იძლევა საშუალებას, უფრო სიღრმისეულად დავინახოთ ის პრობლემები, რომლებიც არსებობენ ერთაშორის ურთიერთობებში.

მეთოდები: საკვლევი თემიდან გამომდინარე, ჩვენი ემპირიული სოციოლოგიური კვლევის სამიზნე ჯგუფად შერჩეული იქნა ბათუმში (ძირითადად, მის ძველ უბნებში) დროის სხვადასხვა ხანგრძლივობით მცხოვრები ქართველი ეროვნების პირები, მიუხედავათ საგანმანათლებლო ცენზისა და სხვა ფაქტორებისა (რესპონდენტების შერჩევისას ყურადღება ექცეოდა მხოლოდ აღნიშნული თემატიკით მათ დაინტერესებას).

საკითხის შესწავლის მიზნით, ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა ანკეტური მეთოდის გამოყენებით. გამოსაკითხი პირები შეირჩა რესპოდენტთა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

ანკეტაში დასმულ დახურულ კითხვებზე პასუხის გაცემასთან ერთად, ნახევრად ღია კითხვების მეშვეობით, რესპოდენტებს შეეძლოთ დამატებითი ინფორმაცია მოეწოდებინათ რომელიმე საკითხის ირგვლივ ჩანაწერის სახით.

სოციოლოგიური გამოკითხვა ჩატარდა რესპონდენტების მიერ ანკეტების შევსების გზით. სულ გამოკითხული იქნა ორივე სქესის 200 რესპოდენტი.

ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის მასალის მოპოვების ძირითადი წყაროები იყო – რესპოდენტთა ანკეტური გამოკითხვის შედეგები და საკვლევ თემასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის პუბლიკაცია.

აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ფართომასშტაბიანი კვლევისთვის საჭირო რესურსების სიმცირის გამო, კვლევა ლოკალური ხასიათის იყო, ამიტომ მისი შედეგების ექტრაპოლირება მთელ ქვეყანაზე არ განივრცობა.

მსჯელობა: რაც შეეხება რესპონდენტებისთვის სოციოლოგიურ ანკეტაში დასმულ შეკითხვებს, რომლის საფუძველზეც ჩატარდა კვლევა, ის შემდეგი სახისაა: შეკითხვაზე –„ხართ თუ არა ძირძველი ბათუმელი?“ – გამოკითხულთა 41,1% უპასუხა, რომ დაიბადა და ცხოვრობს ბათუმში; 51,7% ბათუმში არ დაბადებულა, მაგრამ დიდი ხანია აქ ცხოვრობს; 7,2% კი სულ ახლახან გახდა ბათუმელი. შეკითხვაზე – „ბათუმი მრავალეროვნული ქალაქია, ბევრი არაქართველი დაიბადა და ცხოვრობს აქ, როგორია მათდამი თქვენი დამოკიდებულება?“ – გამოკითხულთა 71,8% უპასუხა, რომ ყველა ერისადმი ერთნაირად დადებითი დამოკიდებულება აქვს; 4,6% უპირატესობას ანიჭებს სლავებს (რუსები, უკრაინელები და ბელორუსები); 3,4 % – ევროპელებს; 4,5% – კავკასიელებს. არ მიესალმება ბათუმში არცერთი სხვა ერის წარმომადგენლის ცხოვრებას 7,0%; გამოკითხულთა 8,7% კი უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

ამ ნახევრად ღია კითხვაზე დამატებით, წერილობით, შემდეგი სახის თვალსაზრისები ფიქსირდება (ტექსტი ახლაც და შემდგომშიც უცვლელად გადმოიცემა): „უცხოელთა რაოდენობა არ უნდა გასცილდეს რაღაც ზღვარს, არ უნდა შეიცვალოს დემოგრაფიული ბალანსი, არ უნდა შეიქმნას პრობლემა ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით“. „წინააღმდეგი ვარ ბათუმში არაქართველთა შემოდინების და საცხოვრებლად დარჩენის. სტუმრად მოსვლას არავინ გიკრძალავთ, მიბრძანდით, მაგრამ ჩვენთან მუდმივად საცხოვრებლად – არავითარ შემთხვევაში“; „ქალაქის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართველი უნდა იყოს“; „ევროპელებს შეუძლიათ იცხოვრონ ბათუმში, აზიელებს არა“.

შეკითხვაზე, „გყავთ თუ არა არაქართველი ნათესავი, ახლობელი ან მეგობარი?“ –რესპონდენტთა 74,5% უპასუხა, რომ არავინ ყავს; 20,3% – ყავს არაქართველების მცირერიცხოვანი სანათესაო-სამეგობრო წრე, ხოლო 5,2% ყავს არაქართველების საკმაოდ მრავალრიცხოვანი სანათესაო-სამეგობრო წრე.

კითხვაზე – „განიცდიან თუ არა ბათუმში მცხოვრები არაქართველები რაიმე მხრივ შევიწროებას სახელმწიფოს ან გარკვეული ჯგუფების მხრიდან?“ – რესპონდენტებმა ასე უპასუხეს: რესპონდენტების 92,4% შეხედულებით, ბათუმში მცხოვრები არაქართველები არავითარ შევიწროებას არავისგან არ განიცდიან; 0,5% ფიქრობს, რომ ზოგჯერ განიცდიან; 0,2% მიიჩნევს, რომ ბათუმელი არაქართველები ხშირად არიან ძალადობის მსხვერპლი; გამოკითხულთა 7,9% უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ამ კითხვასთან დაკავშირებით, რესპონდენტების მხრიდან ფიქსირდება შემდეგი სახის ტექსტობრივი თვალსაზრისები – „შევიწროვება კი არა, რუსები, უკრაინელები და თურქები თავს ისე გრძნობენ, თითქოს თავიანთ ქვეყნებში იყვნენ“; „პირიქით, არაქართველები ზედმეტი თავხედობით გამოირჩევიან“; „ზოგიერთი არაქართველი, რომლიც ბათუმში ცხოვრობს, გაქანებული შოვინისტია და შვილებს „ველიკოდერჟავულ დერჟიმორდებად“ ზრდის“; „არაქართველები ბათუმში თავს არხეინად გრძნობენ. მათ ხელისუფლება ყველანაირად ხელს უწყობს, მაგ., მათთვის

გახსნილია რუსული და უკრაინული სკოლები, აქვთ საკუთარი ბაგა-ბაღები, არავინ ხელს არ უშლის ბიზნეს-საქმიანობაში და ა.შ. ისინი ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან უფრო ხელშეწყობილები არიან, ვიდრე ბათუმელი ქართველები. მათ არავინ ავიწროებს"; „ქართველები ტოლერანტი ერი ვართ, სხვა ეროვნების და სარწმუნოების ხალხს პატივისცემით ვეპყრობით. მაგრამ არც იმას მივესალმები, რომ ქართულ მიწა-წყალზე უცხოტომელები გაბატონდეს".

კითხვაზე, „როგორ უყურებთ ბათუმში უცხოელების დამკვიდრებას?" – პასუხები შემდეგნაირია: რესპოდენტთა 65,5% ბათუმში უცხოელების ყოფნით უკმაყოფილოა. მათი შეხედულებით, უცხოელები საქმდებიან აქ, იკავებენ ადგილობრივების სამუშაო ადგილებს. ამ დროს კი ქართველები ლუკმა-პურის საშოვნელად საზღვარგარეთ მიდიან; გამოკითხულთა 13,8% ფიქრობს, რომ ჩამოსულების ბათუმში დამკვიდრებით მათ არაფერი აკლდებათ. რესპონდენტთა 20,7% არ აქვს ამ საკითხთან დაკავშირებით არავითარი შეხედულება. გამოკითხულთა მხრიდან ზოგიერთი დამატებითი შეფასება ამ საკითხის ირგვლივ შემდეგი სახისაა: „უცხოურ ინვესტიციებს დადებითად ვუყურებ, უცხოელების ბათუმში დამკვიდრებას უარყოფითად", „რადგან უცხოელი ბათუმში ბინას ყიდულობს, გამოდის, რომ მას აქ ცხოვრების სურვილი აქვს"; „საქართველოში უცხოელი მხოლოდ ტურისტი შეიძლება იყოს. სხვები აქ სხვადასხვა გზით დამკვიდრებას ცდილობენ"; „ბათუმში ამდენი უცხოელის დამკვიდრებით, ქალაქის ეთნიკური იერ-სახე თანდათანობით იცვლება"; „ბათუმი ყოველთვის იყო ინტერნაციონალური, თავისი ტოლერანტობით გამორჩეული ქალაქი, მაგრამ ამ ბოლო პერიოდში უცხოელების მასობრივმა შემოდინებამ და აქ დამკვიდრებამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. გამომდინარე აქედან, უნდა შეწყდეს უცხოტომელებისთვის მოქალაქეობის მინიჭება, ხოლო მინიჭებული ვისაც აქვთ, მათ სასწრაფოდ უნდა ჩამოერთვათ (პირველ რიგში ათასობით თურქს უნდა ჩამოერთვას სააკაშვილის დროს მინიჭებული საქართველოს მოქალაქეობა)".

კითხვაზე, „ბევრ უცხოელს ბათუმში აქვს საკუთარი ბიზნესი. როგორ უყურებთ მათ საქმიანობას?" – რესპონდენტებმა შემდეგი სახის პასუხები გასცეს: გამოკითხულთა 27,6% დადებითად უყურებს მათ საქმიანობას. მათი აზრით, ისინი ასაქმებენ ბათუმელებს; რესპონდენტთა 37,9% მათ საქმიანობას საკმაოდ უარყოფითად უყურებს, რადგან, მათი აზრით, არავითარი სიკეთე უცხოელებს ჩვენთვის არ მოაქვთ; გამოკითხულთა 34,5% კი ვერ სცემს დასმულ კითხვაზე ვერავითარ პასუხს. დამატებით, რესპონდენტები შემდეგი სახის შეხედულებებს აფიქსირებენ: „უცხოური ბიზნესი ანადგურებს ჩვენს მცირე მეწარმეებს. მათ აფინანსებენ გარედან (მაგ. თურქ ბიზნესმენებს საქართველოში ეხმარება თურქეთის სახელმწიფო, ხოლო ქართველი მეწარმეები ბედის ანაბარა არიან მიტოვებული)"; „უცხოელი ბიზნესმენების საკმაოდ დიდი ნაწილი ონლაინ რეჟიმში საქმიანობს. ამიტომ ადგილობრივების დასაქმებაზე ის გავლენას ვერ ახდენს"; „ჩვენი ქვეყანა ჩაყლაპა უცხოელმა ბიზნესმა. მაგ., „გლოვო", „ვოლტი", „იანდექსი", „მაქსიმი", „ბოლტი" – რუსული ბიზნესებია".

კითხვაზე, „ხომ არ აკარგვინებს ბათუმელებს სამუშაო ადგილებს ჩვენთან მიგრირებული უცხოელები?" – რესპონდენტების პასუხები შემდეგნაირია: გამოკითხულთა 34,5% მიიჩნევს, რომ ბათუმელების უმუშევრობა, ძირითადად, გამოწვეულია ქალაქში უცხოელების ყოფნით; 13,8% თავიანთი უმუშევრობის მიზეზად უცხოელებს არ მიიჩნევენ; ხოლო გამოკითხულთა 51,7% უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ნახევრად ღია კითხვაზე პასუხებში რესპონდენტების მიერ შემდეგი შეხედულებებიც გაჟღერდა: „უცხოური ბიზნესი (ძირითადად რუსული) – „გლოვო, „ვოლტი", „იანდექსი", „მაქსიმი", „ბოლტი" საკმაო რაოდენობის ბათუმელს ასაქმებს და ამით ქალაქში უმუშევრობის შემცირებას უწყობს ხელს".

კითხვაზე, „როგორ ფიქრობთ, მომავალში საქართველოში, მათ შორის ბათუმში, საცხოვრებლად ჩამოსულ უცხოელთა რიცხვი გაიზრდება თუ მოიკლებს?" – რესპონდენტთა პასუხები შემდეგ-

ნაირია: 5,2% აზრით საცხოვრებლად ჩამოსულთა რიცხვი მოიკლებს; გამოკითხულთა 67,4% ფიქრობს, რომ გაიზრდება; 27,4% კი უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

კითხვაზე, „როგორ ფიქრობთ, უნდა მიეცეთ თუ არა საქართველოს მოქალაქეობა და ბინადრობის უფლება უცხოელებს?“ – რესპონდენტებმა ასეთი პასუხი გასცეს: 89,7% მიიჩნევს, რომ უცხოელებს მოქალაქეობა და ბინადრობის უფლება არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეცეთ; 10,3% ფიქრობს, რომ უცხოელებს უნდა მიეცეთ მხოლოდ ბინადრობის უფლება, ისიც მცირე ვადით; ნახევრად ღია კითხვაზე რესპოდენტთა პასუხებში დაფიქსირდა შემდეგი შეხედულებებიც: „მოქალაქეობა უცხოელს მიენიჭოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს საქართველოს წინაშე რაიმე ღვაწლი აქვს გაღებული“; „მოქალაქეობის და ბინადრობის უფლების მინიჭებით, ხდება ქართველი ერის ფიზიკური ჩანაცვლება უცხოელი მიგრანტებით“; „საქართველოს მოსახლეობას უცხოეთიდან თავს მოახვიეს ლიბერალური საიმიგრაციო კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც, გარკვეული მცირე თანხის გადახდის შემდეგ, უცხოელი იღებს ბინადრობის უფლებას“; „უცხოელი მიგრანტების საქართველოში ჩამოსახლებით, სახელისუფლო მაფია უზარმაზარ ფულს შოულობს“; „ქვეყანაში ყველა პირობაა შექმნილი უცხოელთა მიგრაციისთვის, რაც ცვლის ქვეყნის დემოგრაფიულ ბალანსს ქართველი ერის საზიანოდ“.

კითხვაზე, „უცხოეთიდან საქართველოში დაბრუნების ქართველი ეროვნების ბევრ მსურველს შესაბამისი უწყებები ქვეყნის მოქალაქეობის მიღებაზე უარს ეუბნებიან. როგორია თქვენი აზრი ამ საკითხის შესახებ?“ – გამოკითხულთა 91,5% თვალსაზრისით საქართველოს მოქალაქეობა დაუყოვნებლივ უნდა მიენიჭოს საზღვარგარეთიდან სამშობლოში დაბრუნების მსურველ ნებისმიერ ქართველს; 3,9% ფიქრობს, რომ საქართველოში დაბრუნების მსურველ ეთნიკურ ქართველს საქართველოს მოქალაქეობის მიღებისას არავითარი პრივილეგია არ უნდა ჰქონდეს სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან შედარებით; 6,4% უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ნახევრად ღია კითხვაში დამატებით დაფიქსირებულია რესპონდენტთა შემდეგი მოსაზრებები: „ქართველები გარბიან უცხოეთში, ერი მცირდება, ამიტომ ყველა იმ პირს, რომელსაც ძარღვებში ქართული სისხლი უჩქეფს, ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე უნდა მიეცეს საქართველოს მოქალაქეობა“; „უპირობოდ არ შეიძლება მოქალაქეობის მიცემა (მაგ. თურქეთიდან საქართველოში შემოსული თურქი შეიძლება თავს ქართველად ასაღებდეს, სწორედ ასეთ ვაი-ქართველებს მისცა მოქალაქეობა მ. სააკაშვილმა. ვფიქრობთ, მათი ნაწილი თურქეთის აგენტია)“; „იმათ, რომელთაც მხოლოდ გვარი აქვთ ქართული და არ იციან ქართული ენა, არ უნდა მიეცეთ საქართველოს მოქალაქეობა. ასევე, არ უნდა მიეცეთ მოქალაქეობა იმ პირებს, ვისაც ჩადენილი აქვს დანაშაული ქვეყნის წინაშე“; „ბევრი ქართველი უმუშევრობის გამო გარბის საზღვარგარეთ, ამიტომ, ქვეყანა ქართველებისგან რომ არ დაიცალოს, სახელმწიფომ ყველაფერი უნდა იღონოს ქართველი ემიგრანტების რეპატრიციისთვის და მათ შეუქმნას სამშობლოში ღირსეული სამუშაო ადგილები“.

კითხვაზე, „როგორ ფიქრობთ, ცხოვრობენ თუ არა ბათუმში არალეგალური მიგრანტები?“ – გამოკითხულებმა შემდეგნაირად უპასუხეს: მათი 67,7% აზრით, ბათუმში არალეგალური მიგრანტები ცხოვრობენ; 12,3% აზრით, ბათუმში არალეგალები არ ცხოვრობენ; 7,4% მიიჩნევს, რომ არალეგალები ქალაქში მცირე რაოდენობით არიან; 16,6% უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

იმ ფაქტს, როს საქართველოში არალეგალები არიან, ადასტურებს ეკონომიკის ექსპერტი სოსო არჩვაძე, რომელიც ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით ამბობს, რომ 2025 წლის 6 თვის მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ ყოფნის გამო, უცხო ქვეყნის 525 მოქალაქე იქნა გაძევებული, რაც 280%-ით აჭარბებს წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს (არჩვაძე, 2025, გვ. 4). იმ ფაქტს, რომ არალეგალი მიგრანტები არა მარტო ცხოვრობენ საქართველოში, არამედ არალეგალურად მუშაობენ კიდეც, ადასტურებს პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე რ. ლიპარტელიანი, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოში არალეგალების და-

საქმების ფაქტებს ამოწმებს მონიტორინგის სპეციალური სააგენტოები (ლიპარტელიანი, 2025 , გვ. 6).

ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ საჭიროა ამ კუთხით გამკაცრდეს კანონმდებლობა, რათა არალეგალურ მიგრანტებს ჩვენს ქვეყანაში იოლი დასაქმების შესაძლებლობა არ მიეცეთ, რადგან სამუშაო ადგილები (მათ შორის დაბალი დონისაც) ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის პრობლემატურია.

არალეგალური მიგრაცია პრობლემას ქმნის იმ კუთხითაც, რომ ამ სახის მიგრანტების ნაწილი, შემოსული არიან ისეთი ქვეყნებიდან, სადაც ისინი კრიმინალური საქმიანობისთვის იძებნებიან (ავღანეთი, პაკისტანი, ირანი და ა.შ.).

ბოლო დროს ქართულ საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია არაბული კომპანია „იგლ ჰილსის“ საქართველოში შემოსვლამ და საქართველოს მთავრობასთან დადებულმა ხელშეკრულებამ, რომლის თანახმადაც ეს კომპანია საქართველოში აბანდებს 6,6 მილიარდიან (დოლარებში) ინვესტიციას და სანაცვლოდ ყიდულობს მიწებს კრწანისში და გონიოში, სადაც მოახდენს მათ თანამედროვე სტილში განაშენიანებას. კითხვაზე, „როგორია თქვენი აზრი ამ არაბული კომპანიის ჩვენთან შემოსვლასთან თაობაზე?“ – გამოკითხულთა 17,2% დადებითად აფასებს არაბული საინვესტიციო კომპანიის საქართველოში შემოსვლას. რესპონდენტთა 68,6% კი უარყოფითადაა განწყობილი ამ კომპანიის საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ მისი საქმიანობის მიზნები შეუთავსებელია ქვეყნის ინტერესებთან; 14,2% უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. რესპონდენტებმა გამოთქვეს ასეთი შეხედულებებიც: „პროექტი მიუღებელია, რადგან, ძირითადად, მიმართულია არაბების გონიოში ჩასახლებაზე და არა ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე“; „არ ქვეყნდება პროექტის პირობები. საინტერესოა, ხალხის ზურგს უკან რა დოკუმენტს მოეწერა ხელი“; „ეს არაბული ინვესტიცია ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. ყველაფრის პოლიტიკურ პრიზმაში გატარება არ შეიძლება“; „ინვესტიცია კარგია, მაგრამ მას არ უნდა მოყვეს უცხოტომელების ჩვენთან დამკვიდრება. ქალაქში რომ გავდივარ, თავი ხანდახან რომელიმე ისლამურ ქვეყანაში მგონია“; „ამ ინვესტიციას აქვს როგორც დადებითი, ასევე, უარყოფითი მხარე. დადებითია საქართველოში დიდი ინვესტიციის ჩადება, უარყოფითი – უცხოტომელების ჩვენთან მასობრივი შემოსვლა და დამკვიდრება“; „ნებისმიერ უცხოურ ინვესტიციას შემოსვლის უფლება უნდა მიეცეს იმ პირობით, რომ ინვესტიციის შედეგად დასაქმებულების 90% იქნება ადგილობრივი; არაბულ ინვესტიციას მივესალმები, რადგან გონიოს პოლიგონის ტერიტორია, ფაქტობრივად, „მკვდარია“, ის არავითარ შემოსავალს არ იძლევა. ამავე დროს „იგლ ჰილსთან“ ურთიერთობები საზოგადოებისათვის გამჭირვალე უნდა იყოს“; „ტერიტორია არაბებს უვადო სარგებლობაში არ უნდა გადაეცეთ. ვადა უნდა იყოს განსაზღვრული, მაქსიმუმ 25 წელი“; „ეს უკვე არაბების ტერიტორიაა და შემოიყვანს იმას, ვისაც საჭიროდ ჩათვლის“; „თუ არაბული პროექტი განხორციელდა, უახლოეს 5-7 წელიწადში ეროვნულ უმცირესობად გადავიქცევით და ქვეყანას დავკარგავთ, გაერომ ჩვენ მომაკვდავი ერების სიაში შეგვიყვანა; არც ერთი გოჯი ქართული მიწა უცხოელების ხელში არ უნდა გადავიდეს, ხოლო რაც მიითვისეს, ხელიდან უნდა გამოვტაცოთ, უნდა მოხდეს მახინჯი ხელშეკრულებების ანულირება“.

დასკვნები: კვლევის შედეგად მკითხველს უქმნის უფრო ცხად და გარკვეულ წარმოდგენას საკვლევი თემატიკის ირგვლივ. ყველა დასმულ კითხვაზე რესპონდენტების მიერ გაცემული იყო საკმაოდ კვალიფიციური პასუხი. გამოკითხვით გამოიკვეთა იმ მწვავე საკითხების წრე, რომლებზეც სწრაფი რეაგირება გადაუდებელ ამოცანად გვესახება. ერთ-ერთ ასეთი საკითხია არასახარბიელო დემოგრაფიული ვითარება საქართველოში. როგორც თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, ანზორ სახვაძე აღნიშნავს, „საქართველოს წინ დემოგრაფიული კატასტროფა ელის, რადგან ქვეყანაში შობადობის მაჩვენებელი კლებულობს და მას გარდაცვალების

მაჩვენებელი აჭარბებს. საწყენია უცხოელი დემოგრაფების დასკვნა, რომ ქართული ეთნოსი ძალიან სწრაფად მცირდება. გაეროს მონაცემებით, 2050 წლისთვის ქართველები თავიანთ სამშობლოში ეთნიკურ უმცირესობაში აღმოჩნდებიან“ (სახვაძე, 2025, გვ. 10-11).

რესპონდენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია არალეგალური მიგრაციის საკითხი. ამიტომ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროა ისეთი ტიპის უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება, რომელიც ქვეყანაში უკანონო მიგრაციას შეზღუდავს. ამ მხრივ, ჩვენი აზრით, საჭიროა აიკრძალოს უძრავი ქონების შეძენის გზით ბინადრობის უფლების მოპოვება. ასევე, მიზანშეწონილია, მიგრანტთა უკანონო შემოსვლის, დასაქმების თუ ბინადრობის უფლების მინიჭების მკაცრი, ჩამკეტი მექანიზმების შემუშავება და ამოქმედება. უცხოელთა საქართველოში მასობრივი მოზღვავების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი საქართველოში მოქმედი ლიბერალური კანონმდებლობაა, რომელშიც ცვლილებები დაუყოვნებლივ უნდა შევიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება საკუთარ ქვეყანაში უმცირესობაში აღმოვჩნდეთ.

კვლევის შედეგად ჩამოგვიყალიბდა შემდეგი მოსაზრებები: ბინადრობის უფლება არ უნდა იყოს კავშირში თანხასთან და უძრავი ქონების ფლობასთან; ბინადრობის უფლება არ უნდა იყოს შემდგომში ქვეყნის მოქალაქეობის მოთხოვნის საფუძველი; ჩვენთან უცხოელებს მუშაობის უფლება უნდა მიეცეთ მხოლოდ იმ სამუშაო პოზიციებზე, რომლებზეც ადგილობრივი კადრების მოძიება შეუძლებელია; ყველა ის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც გვავალდებულებს უცხოელებისათვის ბინადრობის და მოქალაქეობის მინიჭებას, უნდა გაუქმდეს; კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს, რომ საქართველოს კანონები და სასამართლო გადაწყვეტილებები, უპირატესია ვიდრე ნებისმიერი საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები. ამ მხრივ, დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ 2026 წლიდან საქართველო ეტაპობრივად ტოვებს ულტრალიბერალურ მიგრაციულ მოდელს და გადადის მართვად მიგრაციულ პოლიტიკაზე, სადაც კონტროლი იწყება არა საზღვარზე, არამედ მგზავრობის გადაწყვეტილების მიღების მომენტში.

ბოლო პერიოდში ძალიან დიდი აჟიოტაჟია გონიოში და კრწანისში არაბული დეველოპერული კომპანიის „იგლ ჰილსის“ შემოსავალთან დაკავშირებით, რომელმაც ჩვენთან 6,6 მილიარდი დოლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს. განსაკუთრებული ყურადღება რესპონდენტების მხრიდან ექცევა იმ გარემოებას, რომ ამ კომპანიასა და საქართველოს სახელმწიფოს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას კომერციული საიდუმლოების სტატუსი აქვს. ჩვენი აზრით, ამ ხელშეკრულების ტექსტი აუცილებლად უნდა გასაჯაროვდეს, თორემ საქართველოს მოქალაქეებს ყოველთვის ექნებათ ეჭვი, რომ აქ რაღაც ფარულ გარიგებას აქვს ადგილი. გამოკითხულებს განსაკუთრებით აღელვებთ ქვეყანაში უცხოელების (განსაკუთრებით არაბების) მასობრივი შემოდინების საკითხი. ჩვენი აზრით, ამ პრობლემას გარკვეულწილად შეარბილებდა საქართველოს კანონმდებლობაში ისეთი პუნქტის შეტანა, რომელიც აკრძალავდა ჩვენთან უცხოელების კომპაქტურ დასახლებას. ამასთან ერთად, კარგი იქნებოდა ასეთი დიდი პროექტი განხორციელებულიყო ტენდერის გზით.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტებმა, სოციოლოგიური კვლევის მეშვეობით, გამოკვეთეს ის ძირითადი ასპექტები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას. გამოკითხვაში მონაწილეთა პასუხების საკმაო სიმწვავე, გარკვეულწილად, ალბათ, განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ საქართველო თავისი ისტორიის მანძილზე ხშირად გამხდარა სხვისი გეოპოლიტიკური თამაშების ობიექტი, ამიტომაც ჩვენს მოსახლეობაში გამძაფრებულია სახელმწიფო და ეროვნული უსაფრთხოების აღქმა.

ბიბლიოგრაფია

არჩვაძე, ს. (2025). რამდენი არალეგალი უცხოელი ცხოვრობს საქართველოში. *გაზ. „კვირის პალიტრა“, #27,* გვ. 4.

ეთნოსები საქართველოში. (2008). თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეგამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ.

ლიპარტელიანი, რ. (2025 წლის 12. V). ქართულ კომპანიებში ადგილობრივს უცხოური სამუშაო ძალა ანაცვლებს. *გაზ. „რეზონანსი“* , გვ. 6.

სახვაძე, ა. (2025 წლის 6 V). 2050 წლისათვის ქართველები თავიანთ სამშობლოში ეთნიკურ უმცირესობაში აღმოჩნდებიან. *გაზ. „კვირის პალიტრა"*, გვ. 10-11.

Harper, D. (n.d.). Ethnos. In Online Etymology Dictionary. Retrieved March 29, 2025, from https://www.etymonline.com/word/ethnos